№ 144

1877—1899

[პარ]ასკევი, 9 ივლი[სი], 1899 წ.

გაზე[თის ფ]ასი ღირს:

| | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| | 10 — | 6 . . . | 6 — |
| | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

[„ივ]ერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

№ 144

პარასკევი, 9 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

[...] ამა ივლისს, შვიდს საათზედ, დილით გარდაიცვალა თავის მამუ[ლ]ში შორაპნის მაზრის სოფ. თერჯოლაში, მეასათე (110) წელი[ს] წადს შობიდგან

## კოლლეჟსკი ასესორი თავ. სვიმონ იოანეს ძე ერისთავი

[შ]ვილი მისი სტატსკი სოვეტნიკი თავადი კონსტანტინე სიმონის ძე ერისთავი გულითადის მწუხარებით აუწყებს ამას ნათესავთა და [ნ]აცნობებს. გამოსვენების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

(1— —1)

[შე]ისწავლე რა საეკკლესიო მხატვრობა მოსკოვის საუკეთესო სახე[ლოსნოებ]ში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

[შე]ვასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს, [რომ] ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობი[ს ფ]ურცლებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდა[ნო]ვის სახლი. ანდრეევი.

(30—78—27)

[პ]ირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

[...]კიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ [დღ]ე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. [ქირ]ურგიული, ვენერიული (სიფილი[სი]) და საშარდეს ავადმყოფობანი.

[ი]. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნე[ულ]ებანი: თვალისა, შინაგანი და ხერ[ხემ]ლისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—[1]2 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურკო. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

შაბათს, 10 მკათათვეს, საღამოს 8 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## „შუამავალი“-ს ამხანაგობის სავანგეზო საზოგადო კრების

გაგრძელება

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

(4—6.—3)

### მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ: შტაბს-კაპიტნობა პორუჩიკებს: მეფარიანს, თულაევს და თარხან-მოურავს; პორუჩიკობა—პოდპორუჩიკებს: იმნაძეს, ქართველიშვილს, ჩრდილელს, თავდგირიძეს, ყიფშიძეს და შენგელიას; კაპიტნობა—შტაბს-კაპიტნებს: მესხს და გრიგოლიას.

დანიშნულ იქმნა: ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს კანცელარიის მოხელე ზაქარია ბეგიშვილი მე-X კლასის საქმეთა მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან თავისისავე თხოვნის თანახმად ტფილისის მაზრის პოლიციის სამმართველოს მდივანი ღულაძე და ჩარიცხულ იქმნა საგუბერნიო გამგეობაში საპოლიციო თანამდებობის კანდიდატად.

## ახალი ამბავი

*** ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნართა წინამძღოლმა თავ. წერეთელმა შემდეგი დეპეშა მიიღო მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისაგან:

გარდაეცით ქუთაისის თავად-აზნაურთ ჩემი გულითადი მადლობა იმ ღრმა მწუხარებაში თანაგრძნობისათვის, რომელიც ჩვენ გვეწვია.

„ნიკოლოზი“

ეს დეპეშა პასუხი იყო თავად-აზნაურთა წინამძღოლის შემდეგის დეპეშისა: „მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძეს: „გარდაიხადეს რა პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მომანდეს მე გამოვუცხადო თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას ღრმა მწუხარება, რომლითაც ისინი აღვსილნი არიან ფრიად სამძიმო დანაკლისის გამო. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი წერეთელი“.

*** 7 ივლისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დეპუტაციამ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გენ.-მ. ი. ვ. საგინაშვილის მეთაურობით გაემგზავრა ბორჯომს, საიდგანაც გუშინ ბათუმს წავიდოდა. თავად-აზნაურთა გვირგვინით მემკვიდრე ცესარევიჩის კუბო პეტერბურგში იქმნება შემკობილი.

*** 5 ივლისს გორის ქალაქის გამგეობის დარბაზში, სხდომის დაწყების წინ, ქალაქის მამასახლისისა, რწმუნებულთა და კანცელარიის მოხელეთა თანადასწრებით, გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად. ქალაქის დეპუტა[ცი]ა გაემგზავრა ბორჯომს.

*** ფოთის ქალაქის საბჭომ 6 ივლისს დაადგინა: შემკობილ იქმნას მემკვიდრე ცესარევიჩის კუბო ბათუმში ცოცხალ ყვავილების გვირგვინით; გაგზავნილ იქმნას ბათუმში დეპუტაციად ქალაქის მოურავი და ხმოსნები: ჯალალოვი, მიქაბერიძე და რუხაძე. ეთხოვოს კამერგერს თავადს მაღალაშვილს შეამკოს კუბო პეტერბურგში ვერცხლის გვირგვინით.

*** აბასთუმანი. 7 ივლისს მთელ ღამეს ალექსანდრე ნეველის ეკკლესია ღია იყო და შიგ სახარების კითხვა იყო გამართული. მემკვიდრე ცესარევიჩის კუბოსთან რიგ რიგობით იმყოფებოდნენ გენერლები, კა...

## ფელეტონი

### ზამთრის ღამე

(მოთხრობა ოარჯე შკოსი)

(შემდეგი *)

II

— შენ საიდგან იცი ეგა? ჰკითხა [ს]იმონმა.

— მართლა, მართლა! საიდგან იცი [შ]ენ ეგა? ჩაეკითხნენ სხვები.

სტუმარმა მაღლა აიღო თავი და [წ]არბები შეიკრა.

— საიდგან ვიცი? რა ვიცი? ხალ[ხ]ის ნალაპარაკევს ვიმეორებ. აკი გი[თ]ხარით: ხალხი ასე ლაპარაკობს-მე[თ]ქი. შეიძლება მართალიც არ იყოს; [მ]ე რაც გავიგე, იმას ვიმეორებ...

— შენ ხომ არ გინახავს სადმე [ბ]ეკი? ეკითხებოდა ანტონი.

— სად უნდა მენახა? ეხლა მოვ[დ]ივარ პრუსიიდგან, ნემეცების ქვე[ყა]ნიდგან და ამ მხარეს ოცი წლი[ს] წადი იქნება, რაც არა ვყოფილ[ვ]არ.

— ნეტავი-კი გენახა და, აგვიწერ[ე]დი როგორია, და უფრო ადვილი დასაჯერი იქნებოდა... ოხ, ნეტავი[-]კი შემახვედრა. ისე ჩავიჭიდებ, რომ [ვ]გონებ ცოცხალი ველარ გამაგდებ[დ]ნენ ხელიდგან.

ჩაიცინა სტუმარმა და უთხრა:

— ავ-კაცობა არ გეტყობა და რად გსურს ცოცხალს კაცს ტყავი გააძრო?

— განა შესაბრალისია ის ავაზაკი, ისა? სცხარობდა ანტონი.

— კარგა ხანია აღარა ისმის რა იმის ავაზაკობისაო, სცდილობდა მგზავრი გაემართლებინა ბეკი: როგორც ამბობენ, ქარხნებში დიდხანს ჰმუშაობდა თურმე ერთგულად და არავისთვის არა დაუშავებია-რაო! როგორღაც მიუხვდნენ თურმე...

— კარგი და ახლა რომ ხელ-ახლად ავაზაკობა დაიწყოს? შენიშნა ეკატერინემ.

— ან ცხენის ქურდობას მიჰყოს ხელი? წამოიძახა ანტონმა.

— არ დაიწყებს, ჩაილაპარაკა სტუმარმა: და არცა ჰფიქრობს არაფრის დაწყებას. შეიძლება ეხლა სულ სხვა კაცი გახდა. ის ტყუილად რისთვის უნდა ვსდევნოთ?

— დაიწყებს, თუ არ დაიწყებს, გააწყვეტინა სიტყვა მეკასრემ: დაჭერა სჯობია. დეე, გაუყარონ ფეხებში კაი მაგარი ბორკილები და გაასეირნონ შორს—შორს აქედგან.

— ოჰ! ოჰ უბედური! ამოიოხრა მარომ; და ჩაიკრა მაგრა გულში თავისი პაწაწა შვილი.

მგზავრი დადუმდა... დიდს ხანს შესცქეროდა ის ახალგაზდა დედაკაცს, რომელსაც შეებრალა ბეკი, მერე ადგა და იმასთან მივიდა.

— ღმერთმა გაგიზარდოს ეგ შენი შვილი, პატარძალო! უთხრა მან ჩურჩულით: გაგიზარდოს ღმერთმა და ნუ მოაკლოს შენი ზრუნვა, სიყვარული და ალერსი. ილოცე, რომ უფალმა აარიდოს ყოველი ბოროტება და დაიფაროს ხალხის დევნისაგან!..

გაოცებით და შიშით შეხედა მარომ უცნობს, რომელიც მივიდა მასპინძელთან და იმას მოუჯდა გვერდით.

—

სიმონი ბაასში არ ერეოდა, გაჩუმებული იჯდა. იმას ჩვეულებად ჰქონდა: ჯერ სუყველას გამოათქმევინებდა აზრს და მერე თავისის ბრძნულის სიტყვით მოსპობდა ბაასს. ახლაც, როდესაც ახალგაზდებმა გაათავეს ბაასი სტუმართან, მოხუცმა გადაწყვეტით სთქვა:

— ცუდის კაცის დაფარვას ღმერთი გვიკრძალავს. იმიტომ-კი არ მიუცია ღმერთს ხალხისათვის სიცოცხლე, რომ ავაზაკებს მფარველობა გაუწიონ. კეთილ ხალხს უნდა მფარველობა და ავაზაკს-კი რისხვა ღვთისა...

სტუმარმა დაკვირვებით მოისმინა მოხუცის სიტყვები. სახე ცეცხლსავით აენთო, თვალები გაუბრწყინდა და ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— ეჰ! კმარა მაგრე ლაპარაკი, მასპინძელო, სთქვა მან. ვინ არიან ავაზაკნი, ან კეთილნი? განა ღმერთმა ხალხი კეთილებად და ბოროტებად დაანაწილა? ვინ იცის, დღეს კაცი კეთილია, ხვალ ფეხი წაუბორძიკდება და ბოროტი გახდება; არავინ იცის, ვის რა მოელის. კაცს თუ ერთი ფეხი გადუბრუნდა, გათავდა... ამ გვარ შემთხვევას სუყველა უნდა მოელოდდეს.

— სუყველა უნდა მოელოდდეს შემთხვევასაო? იკითხა სიმონმა: ჰო, მაგრამ შემთხვევაც შემთხვევას გააჩნია. აქ სუყველას შესახებ-კი არ არის ლაპარაკი, აქ მხოლოდ სულ უკანასკნელ, ზნეობით დაცემულის კაცის გამო ვამბობთ.

— ზნეობით დაცემულის კაცისა! მოგვსვლია ოდესმე ფიქრში, მასპინძელო, კაცი როგორ მიაღწევს უკანასკნელობამდე? განა ნება გაქვს სთქვა იმ კაცის შესახებ, რომელიც არ გინახავს: „ისე წაიქცა, რომ ველარ ადგებაო?“

ეტყობოდა, რომ მგზავრს გულში ისარსავით ხვდებოდა თავისივე სიტყვები.

სიმონი ყურს უგდებდა იმას და წარბებს იჭმუხვნიდა. ბოლოს შეაშტერა სტუმარს თვალები, თითქოს ეკითხება რასმესაო. სტუმარმაც აიხედა და თვალი თვალს შეხვდა... სტუმარის ხმა გაწყვეტილ სიმის ხმასავით შესწყდა...

ველარ მოითმინა ანტონმა:

— ჩემო ძმაო, რა ძალიან ექომაგები ავაზაკებს? უთხრა მან.

მოუბრუნდა ანტონს სტუმარი, შეაჩერდა და მერე თავ დაჭერით მიუგო:

— რათა და იმიტომ, რომ ბევრი რამ მინახავს ამ ჩემს სიცოცხლეში...

— ერიჰაა! გახვეულხარ მაგ ტყაპუჭში ობილად და ცა ქუდად არ მიგაჩნია და დედამიწა ქალამნად.

— თავი დაანებე! მიუბრუნდა მამა ანტონს.

ბაასი მოისპო.

[უ]ეცბად ქოხის კარი გაიღო და ორი ქალიშვილი თითის ტარებით ხელში მხიარულად შემოცქრიალდნენ. ისინი ჰოუახლოვდნენ: ანიკოს, მარო[ს] და იაშას და დაუწყეს რაღაცაზედ ხმა-დაბლა ლაპარაკი...

საიდუმლოდ ლაპარაკს ხანდახან სიცილი შესწყვეტდა ხოლმე.

— დეე, მოვიდნენ, წამოიძახებდა ხოლმე ანიკო...

როგორც ეტყობოდათ ამ ახალგაზდებს რაღაცა ეშმაკობა განეზრახათ.

სტუმარი მასპინძელს არა სცილდებოდა. ვიდრე ახალგაზდები რაღაცა სამზადისში იყვნენ, მეკასრე და მისი ცოლი რაღასაც ლაპარაკობდნენ...

მხოლოდ ცოტად შემთვრალმა ზარზარემ მოჰკრა ყური სტუმრის მიერ სიმონის მიმართ ნათქვამს, რადგანაც იქვე იმათთან ახლოს მოპირ...

*) იხ. „ივერია“ № 143.

ქერგერები, ფლიგელ-ადიუტანტები და კამერ-იუნკრები. ცესარევიჩის კუბო შემკობილი იყო 16 გვირგვინით. დილის 4 საათსა და 15 წ. მობრძანდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ მიხეილის ძე და აბასთუმანში მყოფნი მთავრობის წარმომადგენელნი. ცესარევიჩის კუბო გამოასვენეს ეკკლესიიდგან და დასდგეს სამგლოვიარო ეტლზედ, პროცესია გაემართა აბასთუმნიდგან ბორჯომს დილის 4 საათსა და 40 წუთზედ.

*** ახალციხის ქალაქის რწმუნებულთა საგანგებო კრებამ, ქალაქის მამასახლისის წინადადების თანახმად დაადგინა: 1) იშუამდგომლონ ტფილისის გუბერნატორის წინაშე: გამოუცხადოს მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ქვრივს იმპერატრიცას ახალციხის მცხოვრებთა ულმესი მწუხარება მემკვიდრე ცესარევიჩის გარდაცვალების გამო. 2) გაგზავნონ დეპუტაცია აბასთუმანში ცესარევიჩის კუბოს გვირგვინით შესამკობად; 3) იშუამდგომლონ გუბერნატორის წინაშე, რომ ქ. ახალციხის მცხოვრებთ ნება მიეცეთ ხელით წასვენონ ღვთივ განსვენებულის ცესარევიჩის გვამი ქ. ახალციხის საზღვრებში; 4) აბასთუმან-ბორჯომის გზა-ტკეცილზედ, სუორლის ხიდიდგან ძეგლამდე გააკეთონ ნაძვის ხეების ხეივანი, რომელიც სამგლოვიარო იარაღებით უნდა შეიმკოს, და სვეტები დადგას ხეივნის თავსა და ბოლოში, და 5) შეიმკოს აგრეთვე სამგლოვიარო ბაირაღებით და ხვეულებით ქალაქის გამგეობის შენობა, ქალაქის ბაღი და საეკლესიო ადგილი, სადაც სამართლმადიდებლო ტაძარი უნდა აშენდეს. შემდეგ არჩეულ იქმნა დეპუტაცია და დასასრულ გარდაიხადეს პანაშვიდი.

*** 7 ივლისს ტფილისიდგან ბორჯომს გაემგზავრა მ. ი. უ. კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, რომელიც პეტერბურგს გაჰყვება მემკვიდრე ცესარევიჩის გვამს.

*** ქალაქის მოურავის მოადგილე ბ-ნი შესტაკოვი, რომელიც ქალაქის დეპუტატებთან ერთად აბასთუმანში იყო წასული მემკვიდრე ცესარევიჩის კუბოს შესამკობლად, დაბრუნდა ტფილისში.

*** წრევანდელი საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში გათავდა 5 ივლისს, ხოლო გამოცდა გალობაში კურსებისა იყო 6-ს. გამოსცადეს ორმოც-და-ათამდე კაცი. ამათგან ლოტბარობის მოწმობა მიიღო ხუთმა კაცმა: რუსულისა და ქართულის გალობისა ბ-ნმა ონისიმე ჰეკაძემ, მარტო რუსულისა— ბ-ნთ შჩეპოტიევმა და მაზმანოვმა; ქართულისა—ბ-ნმა ნებიერიძემ და იმერულისა ბ-ნმა ანთაძემ. გალობის ერთხმაზედ ცოდნის მოწმობა მიეცა 25 კაცს.

*** 7 ივლისს კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენ.-ლ. ფრეზე კოჯორს წავიდა.

*** 7 ივლისს ტფილისის გუბერნიის მმართველმა კ. კ. სტეფანოვიჩმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავის მოადგილეს შესტაკოვს, შეგვატყობინეთ, რატომ აგვიანებთ იმ წინადადების შესრულებას, რომლის ძალითაც ქალაქის გამგეობას უნდა წარმოედგინა ცნობები სახლის პატრონთაგან არხების გასაყვან გორდასახადის (5 მან.) აკრეფის საფუძვლის შესახებ და ქალაქის საბჭოს იმ დადგენილების პირს, რომელიც მოხსენებულია ქალაქის გამგეობის 1898 წლის 1-ლ მაისის დადგენილების მე-3 მუხლშიო.

*** 7 ივლისს პოლიცმეისტერის თანამდ. აღმასრულებელმა უკმაყოფილება გამოუცხადა მე-7 ნაწილის ბოქაულს თითქმის მთელის ავლაბრის ქუჩების უსუფთაობის გამო და წინადადება მისცა, დღესვე ზომები მიიღეთ ამ ქუჩების დასასუფთავებლადაო. მე-7 ნაწილის ზედამხედველთ გამოეცხადათ საყვედური და გაფრთხილება, რომ თუ ამის შემდეგ მათ ოდნავაც არის დაარღვიეს სავალდებულო დადგენილებანი, სისუფთავის დაცვის შესახებ, დატუსაღებულ იქმნებიან ჰაუპტვახტში.

*** ქალაქის გამგეობის საფინანსო კომისიას დაუდგენია: 1) მომატებულ იქმნას შემოსავლის აღრიცხვა 77,821 მანეთით, რომელიც შემოვა დაფასების გარდასახადის მომატების გამო და 2) შემცირებულ იქმნას ქალაქის ზოგიერთი ხარჯი 25,615 მანეთით.

*** კავკასიის საბაოსნო საზოგადოების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა გზათა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დაჩქარდეს რკინის გზებით იმ ღვინოების გაზიდვა, რომელიც იგზავნება პირდაპირის გზით, და თავიდან იქმნას აშორებული ღვინის გზაში გაჩერება, რადგან იგი ადვილად ფუჭდება; ამასთან იქონიონ რკინის გზებმა 1-ლ ოქტომბრიდგან 1-ლ აპრილამდე თბილი ვაგონები. („ნოვ. ვრ.“).

*** სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა, ტფილისის ყასაბთა განცხადების გამო, უფროსს სავეტერო სამეურნეო ზედამხედველთან ერთად შეიმუშავა საქონლის დაკვლის ახალი წეს-რიგი, რომელიც წარუდგინა დასამტკიცებლად გამგეობას.

*** ტფილისის გუბერნიის მმართველს წარედგინა ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა ქ. ტფილისის სასარგებლოდ სახლებსა და კამერებზედ გადასახადის დაწესების შესახებ.

*** ოჩამჩირეში 28 ივნისს მოხდა დეპუტატთა არჩევნები. კენჭი იყარეს პროვიზორმა ი. კაცანსკიმ, კ. ელიავამ, დავითაიამ და ხონელიამ. არჩეულ იქმნა დავითაია და ხონელია; ხოლო მათ კანდიდატად—ჯავახია. ამორჩეულთა სია გუბერნატორს გაეგზავნა დასამტკიცებლად.

*** ტფილისის მაზრაში წელს განსაკუთრებით ძლიერ გავრცელდა ვენახებში ნაცარი. მრავალი გლეხი ვერ შეუდგა წამლობას საშუალების უქონლობის გამო, თუმცა ცხადად იქვეთ შეგნებული წამლობის სარგებლობა. („ტფ. ფ.“).

*** „ტფ. ფ.“-ს აუწყებენ, რომ საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა ჯამაგირის მომატება საეროთ განათლების სამინისტროს თუმცა საჭიროდ უცვნია, მაგრამ საშუალების უქონლობის გამო შემდეგისათვის გადაუდვია. ამ ჟამად-კი სამინისტრო ჰზრუნავს საერო მასწავლებელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

*** გუშინ ერთ რუსულ გაზეთიდგან გადმობეჭდილი გვქონდა, რომ საგარეჯოში (ტფილისის მაზრა) სეტყვა მოსულაო. ეხლა როგორც გვატყობინებენ, საგარეჯოში არავითარი სეტყვა (ვერ) არ მოსულა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ს. ამაღლება, (ქუთაისის მაზრა).** ამ რამდენისამე ხნის წინად ხალხმა სთხოვა პოლიციის ბოქაულს თავ. ფაღავას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღეძრა კვირაობით ამ სოფელში ბაზრობის დადგენის შესახებ. თავ. ფაღავამ სულ მოკლე დროში აუსრულა ხალხს თხოვნა. ამ წლის აპრილის 11 რიცხვიდგან, მისი მეცადინეობით, გაიმართა ყოველ კვირაობით ვაჭრობა. ხალხი ძლიერ გაატოტცხლა ბაზრობამ. თავ. ვლადიმერ, ვიქტორ და გიორგი ჩიჯავაძეებმა დაუთმეს ბაზარს ორ დესეტინამდის მიწა, გამართეს კარვები თავისი ხარჯით, აგრეთვე ყოველი ხარჯი პირველად ბაზრობის დაარსების დროს თითონვე იკისრეს. ამას წინად 50 კარავში ორ-ორი ვაჭარი იყო მოთავსებული და ზვერის მინდორში ვაჭრობდა. ეხლა ვაჭრებმა მოითხოვეს კიდევ 50 კარავი, ასე რომ შემოდგომაზე ას კარავზედ მეტი იქმნება საჭირო. ჯერ-ჯერობით მოზომილია 70 საჟენი ადგილი და ყოველ დღე მატულობს მსურველების რიცხვი; ყოველ დღე შენდება სამ-ოთხი დუქანი.

ბაზრობაზე შემოდის გასასყიდად შინაური საქონელი—მსხვილ-ფეხი და წვრილ-ფეხი, ხეხილი, ხე-ტყე და სხ. ახლა ადგილის მიცემობის შესახებ ძლიერ გაკვირვებული არიან ვაჭრები; ხალხის სიმრავლის გამო ვაჭართან მისვლა ჭირს. ხალხმა გაიგონა ეხლა, რაც დღემდის არ იყიდებოდა ჩვენში სოფლად, იყიდა ის, რასაც თავისი დღეში ვერ იყიდდა სოფლად. ამას წინად ბაზრობიდგან სახლში დაბრუნების დროს დედაკაცები გზაში ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ: „ბება, რა ამბავია, ჭურში კუთვილკართ, როდის გაუდილა წინათ ჩვენში ბაღი, მსხალი, ვაშლი, ქათამი?“ მართალიცაა: თუმცა ამას ყველას დღემდის ჰყიდდნენ ქუთაისში, მაგრამ იშვიათად, და გაყიდულის ფასი ნახევარზედ მეტი გზაზედ ეხარჯებოდათ.

ამას წინად ბაზრობას დაესწრო ბოქაული თავადი ფაღავა. მან სთხოვა ვაჭრებს წესიერების დაცვა ვაჭრობის დროს, ზემოთ მოხსენებულმა თავ. ჩი

---

ქვავებულს გეჯაზედ იყო ჩამომჯდარი.

— იაკობისა რაღა ისმის, მასპინძელო?

— ვინ იაკობისა? ჩაეკითხა სიმონი და წარბები შეიჭმუხნა.

— შენი მესამე შვილისა. ორი აქ არის და მესამე-კი არა. ნუ თუ მთლად დაგავიწყდა იგი?

უფრო შეიჭმუხნა მოხუცმა წარბები და პასუხი არ მისცა.

— ნუ თუ არ გახსოვს შენი უფროსი შვილი?—ჩააცივდა სტუმარი.

— როგორ არ მახსოვს, მწარე ღიმილით მიუგო სიმონმა: კარგად იცნობდი იმას?

— ძალიან კარგად! ოჰ, რა მარჯვე და გულადი ბიჭი იყო...

— წრეს გადასული გულადი! სთქვა სიმონმა.

— მაშ, დიდი ხანია იმისი ამბავი არა გაგიგიათ-რა? სიმონი თუმცა კი სულ შეჭმუხვნილი იყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ შვილის ამბის შეტყობა ძალიან გულით უნდოდა.

მაგრამ მოხუცმა ბარბარემ არ დაცალა.

— ოჰ, მოგვიღო ბოლო უბედურებამ? ბუტბუტებდა ბარბარე.

— რამ მოგიღო ბოლო, ჩაეკითხა სიმონი.

სიმონი რაღაცა უცნაურად ანძრევდა ლოყებს, თითქოს ხმელს რამეს ჰღეჭავსო: არ უნდოდა უცნობთან დაეწყო ლაპარაკი თავის დაკარგულ იაკობის შესახებ, მაგრამ გულმა დასძლია და დაიწყო.

— როდესაც მე საქმის გამო ქალაქში დავდიოდი, იაკობიც თან დამყავდა, თუმცა-კი არაფრად საჭირო იყო. ძალიან მიყვარდა... ყველაფერის ნებას ვაძლევდი... ღმერთმა დამსაჯა იმის განებივრებისათვის!.. ძალიან ჭკვიანი ბიჭი იყო! სხვა ბიჭებს სრულიად არა ჰგავდა: არც სიმხიარულე, არც მუშაობა არ უგავდა სხვისა. მუშაობაში გახურებულს ცხენს ჰგავდა; და თუ მუშაობა არა ჰსურდა, გაჯიუტდებოდა და ვერაფრით ვერ დასძრავდი... როცა გუნებაზედ იყო, მომვარდებოდა და დამიწყებდა კოცნას ლოყებზედ, კისერზედ ისე მომეკვრებოდა ხოლმე, რო ვერასფრით ვერ მოვიცილებდი, მოფერებასა და ალერსში ტოლი არ ჰყავდა. ხანდახან, როცა გაგულისდებოდა მზად იყო თვალები გამოეკაწრა! მაგრამ ცუდი არაფერი არ შემთხვევია!... ჰო, იმას ვამბობდი, დავიჭირე და ყოველთვის ქალაქში დამყავდა. გაეცნო იქ ვიღაცა მაწანწალებს, რომელნიც მთელ დღე-ღამეებს უსაქმობაში ატარებდნენ და ყოველ სისაძაგლეს სჩადიოდნენ. ერთხელ ურიას დაეცნენ. ამ ურიას გასასყიდად ურმით მსხალი და ვაშლი მიჰქონდა თურმე ბაზარში, ხილი წაურთმევიათ, ურია ურემზედ დაუკრავთ, ცხენებისთვის პირი სოფლისკენ მიუბრუნებიათ და რაც ძალი და ღონე ჰქონიათ დაუკრავთ მათრახი! ცხენი სად წავიდა ღმერთმა იცის, თითონ-კი ქალაქში დაბრუნებულან. ურიამ საჩივარი განაცხადა. ამ მაწანწალებს პატარა სასჯელი გადაუწყვიტეს, ჩემს შვილს-კი, რადგანაც მეთაურად იცნეს ამ საქმეში, წელიწად-ნახევრის ვადით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს. უბრალო საქმე იყო, მაგრამ ისე დასაჯეს, როგორც მძარცველი... რა უნდა მექნა? სწორე გითხრა, პირველად არც-კი შევწუხებულვარ, ვფიქრობდი: დეე იჯდეს, ჭკუას ისწავლის მეთქი...

— ისწავლა ჭკუა? ჰკითხა სტუმარმა...

— ოო! ძალიან ნასწავლი გამოვიდა!.. სთქვა თავის ქნევით მოხუცმა.

— მასპინძელო, მასპინძელო! შენ რომ ყური დაგეგდო იმისათვის, რასაც შენს შვილს ციხეში ასწავლიდნენ, სისხლი გაგეყინებოდა ძარღვებში!...

სიმონი შეკრთა... მგზავრის ხმაში რაღაცა ემცნაურა.

— რა ამბავიაო? სთქვა სიმონმა: არა, არა!... მე შენში რაღაცა მეცნაურება...

სტუმარი აღელვებული ადგა და ბუხართან მივიდა. დამშვიდდა, თავი შეიმაგრა და დაჯდა ისევ სიმონთან. სიმონმა ჩიბუხს მოუკიდა და ღრმად ჩაფიქრებული იჯდა. სამაგიეროდ ბარბარემ მიიწია უცნობისაკენ, ბარბარემ დაუჭირა მკლავი და დაბალის ხმით დაუწყო ლაპარაკი:

— იცნობდი ჩვენს იაკობს? .. ოჰ, უბედური, ბევრი მოსათმენი მოითმინა მამისაგან!... აქ იმან შეხედა სიმონს და უფრო დაბალის ხმით დაუწყო ლაპარაკი: სცემდა იმ უბედურს სიმონი, როცა ციხიდგან გამოუშვეს. წინანდელი ნებივრობა და სიყვარული გამუდმებულ ცემა-ტყეპად შეუცვალა. ძაღლსაც არა ჰქონდა იმდენი ცემა. აქვე გამათავოს ღმერთმა, თუ ტყუილს ვამბობდე, ან დალევდა, ან იეშმაკებდა რასმეს, სუყველაფრისათვის სცემდა საცოდავს.. „ნებივრობით დაგღუპე მე შენ!“ ეუბნებოდა:

— „მეტს ვეღარ გაგანებივრებ: გამოგიპერტყამ თავიდან იმ სისაძაგლეს, რომელიც შენ იქ ისწავლე!“ ჩამოვეკიდებოდით სიმონს ცოლი ერთ ხელზედ, მე მეორე ხელზედ, და ვევედრებოდით; იყოფა სიმონ, ცემით ვერას გააწყობ! ის-კი გაიძახოდა: „მოვკლამ, და მუქთა მჭამელად-კი არ გავუშვებ ქვეყანაზედაო.“ სხვა შვილებსაც სასტიკად დაუწყო მოქცევა. იმ დროს ჩვენი ოჯახი ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო.... მერე ჩუმად გაიპარა...

— ვეღარ მოითმინა?

— ვინ იცის, მამის სისასტიკეს ვერ გაუძლო, თუ გააბრიყვა ვინმემ...

— ეს კია, რომ მას შემდეგ აღარ გვინახავს ჩვენი მიმინო; აღარ მოგვისმენია მისი წკრიალა ხმა! საცოდავ დედა მისს თვალზედ ცრემლი აღარ შეშრობია, სტიროდა აგრეთვე მისი და ზინაც. საბრალო, გიჟი იყო, მაგრამ გული ძალიან კეთილი ჰქონდა.... ოჰ, ოჰ, მისთვის, ვგონებ, კედლებიც-კი სტიროდნენ. მხოლოდ მამამ იმ დღიდგან გული დამ ამოიღო თავისი შვილი, არც შებრალებია, არც უძებნია და არც არასოდეს აღარ გაუხსენებია იმისი სახელი!... ძალიან სასტიკია!...

— რაო? შეაწყვეტინა სტუმარმა, რომ არ ენანებოდეს, ან არ ახსოვდეს თავისი დაკარგული შვილი, არც უფროსს შვილის-შვილს დაარქმევდა იაკობს. შეიძლება, უფროსის შვილის მოგონებით შვილის შვილს დაარქვა მისი სახელი?

ამ სიტყვებს სიმონმა ყური მოჰკრა... გამოერკვა თავის მძიმე ფიქრებისაგან, გამოიღო ჩიბუხი პირიდგან, გადისვა შუბლზედ ხელი და ერთი კიდევ შეხედა სტუმარს:

— ღმერთო, შემიწყალეო! წაიბუტბუტა მან.

სტუმარი საჩქაროდ ადგა და გადავიდა მეორე მხარეს, სადაც მარიამი ძუძუს აწოვებდა თავისს პაწაწა ვაჟს.

ნ. მღვდლისშვილისა

(შემდეგი იქნება)

...ჯვამეებმა აღუთქვეს მას, რომ ჩვენ როგორც ადგილის პატრონები, ვეცდებით თვალ-ყური ვადევნოთ და დავიცვათ წესიერებაო.

გ. ბზვანელ-ხონელიურელი

## წინამძღვარიანთ კარის სასოფლო სამეურნეო სკოლა.

7 ივნისს ამა წლისას დავათვალიერე წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, დავესწარ მოსწავლეების გამოცდას სამეურნეო და საზოგადო საგნებში და მივაქციე ყურადღება სკოლის ყველა მოწყობილებას.

დღეს სკოლას ხუთი თითო სართულიანი ქვითკირის სახლი აქვს: ა) ერთში არის კლასები და მუზეუმი. კლასები, მუზეუმი ეთანხმება ყოველგვარ პედაგოგიურ და ჰიგიენურ მოთხოვნილებას. კლასები მოწყობილია კარგის საკლასო ნივთებით. მუზეუმის ოთახში არის ყველა დაკვირვებითი და სწავლისთვის სხვა საჭირო ნივთები. ბ) მეორე სახლში მოთავსებულია სახელოსნო. სახელოსნო იყოფება სამ ნაწილად: ერთ ოთახში ინახება ყმაწვილების მიერ გაკეთები ნივთები, მეორეშია სადურგლო, სახუროო და სახარატო, მესამეში-კი საჩილინგრო და სამჭედლო. სახელოსნოს აქვს იარაღები, დაზგები და სახერხი ჩარხი, გ) თლილის ქვის ეკკლესია ორას ორმოცდა-ათის კაცის დამტევი, დ) სადგური (პანსიონი) ყმაწვილებისა და ე) სახლი, სადაც სცხოვრობენ მართველი სკოლისა და მასწავლებელნი (თითოს იმათგან აქვს ორ-ორი ოთახი, სამზარეულო და სარდაფი).

სკოლას აქვს ორმოცდა-ათი დესეტინა სახნავ-სათესი საუკეთესო მიწა თავისის ტყით. სკოლის გამგენი ამას სცდილობენ, რომ სკოლის ყველა სამეურნეო ნაწილი ისეთს რიგსა და წესზედ დააყენონ, როგორსაც ნამდვილი სამეურნეო სწავლა-მეცნიერება მოითხოვს. ამ აზრის მიხედვით სკოლას აქვს ფერმაზედ წესიერად გაშენებული: ვენახი, ახალშენი ხეხილისა, ბაღი და ბოსტანი.

სახელოსნოში მოსწავლენი ითვისებენ იმ სახელოსნო სწავლას, რომელიც ოჯახში გამოადგებათ, მაგალითად: შეუძლიანთ გააკეთონ და მოაწყონ თავიანთვის სახარატო ჩარხი, მაგიდა, სკამი, შანდლები, ხის თონჩები, კარ-ფანჯარა და სხვა, ერთის სიტყვით, ყველა, რაც ოჯახს დაუნდება.

რაც შეეხება სამეურნეო სწავლას, ამ სწავლის გასაადვილებლად სკოლას მრავალი სხვა და სხვა გვარი სასწავლო ნივთები აქვს და მზრუნველი სკოლისა დღითი დღე სცდილობს ამისთანა ნივთებით უფრო გაამდიდროს სკოლა.

მასწავლებელთ ბ-ნნთ ი. მაღალაშვილსა და ა. ბენაშვილს დიდი შრომა მიუღიათ, დიდად სცდილან, რუსული ენა და სხვა საგნები კარგად შეესწავლებიათ ყმაწვილებისათვის. რუსულის ენის ცოდნამ გამაკვირვა. ამ სოფელში, სადაც ყმაწვილები სწავლობენ, თითქმის რუსული ენა ხალხისათვის გაუგებარია, მაგრამ გლეხის შვილები დღეს რუსულ ენაზედ თავისუფლად ლაპარაკობენ და გამოცდის დროს ამ ენაზედ სრულ პასუხს იძლევიან.

თუმცა სკოლა კარგად არის მოწყობილ-გამართული, მაგრამ კიდევ ბევრი ეჭირვება. სკოლამ უნდა უთუოდ დაამთავროს სახელოსნოს შენობა, მარანი, აუშენოს მუშა და საწველ საქონელს წესიერად გამართული ბოსელი, შენობა, სადაც შეიძლებოდეს გუთნების და სხვა იარაღების მოთავსება, აბრეშუმის ჭიის ნოსაშენებლადაც ცალკე სადგურია საჭირო. ამ საქმეს მოუნდება ორასი, სამასი თუმანი.

ყველას, რაც მე იქ ვიხილე, მკვიდრი საძირკველი აქვს ჩადგმული. წინადვე არის მოფიქრებული და მოაზრებული. სკოლის აზრი რომ სრულიად შესრულდეს, ბევრი ძალა, შრომა და საშუალება კიდევ მოუნდება.

სკოლამ თავისი მოვალეობა რაც შეეძლო შეასრულა, ამას გვიჩვენებს და გვიმტკიცებს სკოლის წესიერად გაშენებული, მოვლილი ვენახი და მშვენიერად შენახული ღვინო. წესიერად გაშენებული ვენახი და კარგის სიკეთის ღვინო ხალხს ბევრს სიკეთეს უჩვენებს.

სწავლა სამეურნეო საგნებისა მკვიდრად და კარგად არის დაყენებული. მოსწავლენი გამოცდის დროს ყველა კითხვაზედ ჯეროვან და შეგნებულ პასუხს გვაძლევდენ და მითი გვიმტკიცებდნენ ნამდვილ ცოდნას სამეურნეო საგნებისას. ამისთანა ცოდნა ყმაწვილებისა უნდა მივაწეროთ შვილს წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლისას, დღეს მის მასწავლებელს სამეურნეო საგნებისას ბ-ნს სვ. ხუნდაძეს. ხუნდაძემ, როგორც სჩანს, სამეურნეო საქმე კარგად იცის და ამასთან ეტყობა, დიდად უყვარს თავისი გამზრდელი სკოლა: იგი დიდის სიყვარულით და დაუღალავის შრომით ეკიდება საქმეს.

ყმაწვილების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბევრს სიკეთეს მისცემს სამშობლო ქვეყანას. ამ სკოლაში, როგორც სია გვიჩვენებს, დღევანდლამდე სწავლა დაუმთავრებია 48 მოსწავლეს. ზოგი იმათგანი სწავლობს ამ ჟამად ნიკიტის (ყირიმშია) ბაღოსნობის და მევენახეობის სკოლაში; ზოგი-კი მუშაობს კავკასიის სხვა-და სხვა კუთხეში.

მოსწავლეთ სწავლაში ფული არ ერთმევათ. უსასყიდლოთვე ეძლევათ სამოსწავლო ნივთები და წიგნები. სკოლას, როგორც ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორთან წარდგენილი ანგარიში გვიჩვენებს, ხარჯი ჰქონია:

1896—1897 წ.—5670 მ. 53 კ.
1897—1808 წ.—7982 მ. *)

აქედგან სჩანს, რომ ის ხუთასი თუმანი, რომელიც სკოლას ეძლევა სათავად-აზნაურო ბანკიდგან, არ აკმაყოფილებს სასწავლებლის ყველა მოთხოვნილებას.

სკოლის ყველა სამეურნეო ნაწილის მოწყობას და იმის ნამდვილ მეცნიერების მოთხოვნილების გზაზედ დაყენებას დიდი ხარჯი უნდა. ეს აზრი ნამდვილია. ამ ჭეშმარიტებას გვიმტკიცებს რუსეთის და საზღვარ-გარეთის სამეურნეო სკოლების წლიური ხარჯი.

*) ამ ფულიდგან ეძლევათ ხუთ მასწავლებელს ჯამაგირები, ინახება ათი მოსწავლე თავადი და აზნაურიშვილებისა, კეთდება სარდაფი და იხარჯება დანარჩენი ფული წიგნების და სამოსწავლო ნივთების, მასალის და იარაღების შეძენისათვის.

დღეს ფერმას წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლისას აკეთებენ სკოლის მოსწავლენი. სკოლის მოსწავლენი მცირე წლოვანნი არიან. დიდ საქმეს დიდი ღონე და ძალა უნდა. ყმაწვილებს დახმარება ეჭირვებათ, რომ სამეურნეო საქმე გაფართოვდეს, დადგეს და სკოლას შემატება მიეცეს. უსათუოდ სკოლამ უნდა შეინახოს ყოველ წლივ ხუთი მუშა კაცი. პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილების მოსწავლენი ათისა, თორმეტისა და ცამეტის წლის ბავშვები არიან, ისინი მუშებად ვერ ჩაითვლებიან. მარტო ორი სპეციალური (უფროსის) კლასების მასწავლედ შეუძლიანთ ფერმაზედ მუშაობა. საზოგადოდ მოსწავლე მოსწავლედ უნდა ითვლებოდეს და არა მუშაკად. ამის გამო გარეშე წლიური მუშანი საჭირონი არიან.

თვალ-საჩინოა სკოლისათვის საკუთარის ეკკლესიის აგება. ამ ახლო მომავალში აკურთხებენ კიდეც.

მოსწავლეთა და მასწავლებელთ შორის საუკეთესო განწყობილება და დამოკიდებულება სუფევს და ეს გარემოება სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მასწავლებელთ კარგად ესმით თავიანთი მოვალეობა მოსწავლეების წინაშე. ერთი-ერთმანეთის სიყვარული და საერთო დაუღალავი შრომა არის უმთავრესი მიზეზი ამ სასოფლო-სამეურნეო სკოლის კეთილ-მსვლელობისა და წარმატებისა.

ჩემს თავს მოვალედ ვრაცხ ორიოდე სიტყვა სკოლის დამაარსებელის შესახებაცა ვთქვა. ბ-ნს ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილს არ დაუზოგავს თავისი ძალ-ღონე, ცოდნა და საშუალება ამ სკოლის კეთილ მოწყობილებისათვის. მოუწვევია თანამშრომლად ისეთი მასწავლებელნი, რომელნიც ერთობ გამსჭვალულან იმ კეთილის აზრით, რომ სკოლამ სიკეთე უჩვენოს მოსწავლეთ, საზოგადოებას და სამშობლო ქვეყანას. შვილების აღზრდა იმ რიგათ, რომ იმათ თავისის ოფლით, შრომით და ცოდნით შეეძლოთ ცხოვრება, სწორედ საჭირო და სასურველია. ეს სკოლა-კი დღეს ასეთ შვილებს უზრდის სამშობლო მხარეს. გულით ვისურვებთ, რომ ამ მშვენივრად დაყენებულ სკოლას შემდეგშიაც არ მოჰკლებოდეს წარმატება და წინ-მსვლელობა.

დასასრულ არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ ის ზარალიც, რომელიც სკოლისთვის მიუყენებია 22 მაისს დიდ სეტყვას და ქარი-შხალს. სკოლის ვენახი, გაშენებული ამ შვიდის წლის განმავლობაში ყმაწვილების ხელით, სეტყვასა და ქარიშხალს მიულეწ-მოულეწია და ცხრაასი ფუთი ყურძენი, რომელსაც სკოლა წელს მოელოდა, ხელიდამ გამოუცლია. როგორც ხალხი ამბობს, ამ მხარეში ესეთი სეტყვა არ უნახავთ. ვაზი ისეა დაზარალებული, რომ ორ წელს ვერც-კი გამოდგება.

ტფილისის საბაღოსნო სკოლის მასწავლებელი ტურჩინსკი

## რუსეთი

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს ქალებს ნება მისცეს სამსახურისა სახელმწიფო ქონებათა გამგეობებში და სატყეო დეპარტამენტში.

— უწმ. სინოდს აზრადა აქვს დააარსოს განსაკუთრებული დამზღვევი დაწესებულება, სადაც შეიძლებოდეს დაზღვევა ეკკლესიებისა, საეკკლესიო სკოლებისა და საზოგადოდ ყოველ გვარ საეკკლესიო ქონებისა.

— დედათა სამკურნალო ინსტიტუტში თხოვნების გაგზავნა შეიძლება პირველ აგვისტომდე. სწავლა ინსტიტუტში დაიწყება 1 სექტემბერს. უმაღლესს დედათა კურსებზედ წელს 300 თავისუფალი ვაკანსიაა. იქაც თხოვნები პირველ აგვისტომდე მიიღება. სამთო ისტიტუტში წელს 80 ვაკანსიაა ახალ-შემსვლელთათვის, ხოლო ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტებში 60 ვაკანსიაა.

— სენატმა განმარტა, რომ ქალაქის მოურავის მოადგილეს არ შეუძლიან ისარგებლოს ჯამაგირით იმ შემთხვევაში, თუ ამ საგნის შესახებ ქალაქის საბჭოს განსაკუთრებული განკარგულება არ მოუხდენია. ამასთან ჯამაგირის დანიშვნა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის მოურავმა სრულიად დაანება თავი თანამდებობის ასრულებასაო.

— სამთო დეპარტამენტში შესდგა კომისია, რომელსაც მიენდო არსებულ სამთო სასწავლებელთა გარდაკეთებისა და ორის ახალ ასეთის სასწავლებლის დაარსების საქმის განხილვა.

## უცხოეთი

**ავსტრია.** ავსტრიის დედა-ქალაქვენაში ეს უკვე რამდენიმე თვეა დიდი მოძრაობაა. ეს მოძრაობა ბევრით წააგავს იმას, რომელიც ბელგიაში მოხდა და რომელიც ეს-ეს არის დასრულდა მთავრობის დამარცხებით და მოწინააღმდეგე დასების გამარჯვებით. როგორც ბელგიაში კლერიკალებმა, ისე ვენაში ანტისემიტებმა, ანუ, როგორც იქ ეძახიან, ქრისტიანეთა სოციალისტებმა ქალაქის მოურავის ლიუგერის მეთაურობით, მომავალ საქალაქო არჩევნებზედ დამარცხების შიშით მოიწადინეს ისეთის საარჩევნო რეფორმების მოხდენა, რომელიც უეჭველს ჰყოფს მათ გამარჯვებას და მოწინააღმდეგეთა დამარცხებას. როგორც ვიწყით, თავ-გასულობამ და მალ-მომრეობამ ბელგიელ კლერიკალებისამ ფეხზედ დააყენა და თავი გამოადებინა საოპოზიციო დასებს: ლიბერალებს, დემოკრატებს და განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებს. თითქმის ასევე მოხდა და ხდება ვენაშიაც: დესპოტიურმა სურვილმა ანტისემიტებისამ ანუ ქრისტიანეთა სოციალისტებისამ შეაერთა და ხელი-ხელ გაბმული საზოგადო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყვანა ლიბერალები, პროგრესისტები, ნაციონალისტები და სოციალდემოკრატები.

მომავალის წლის მარტში უნდა მოხდეს მეორე ხარისხის წარმომადგენელთა არჩევნები. ამ ხარისხის ამომრჩეველთ ეკუთვნიან უმთავრესად ინტელიგენტები, მათ შორის, რამდენიმე ათასი მასწავლებელი. წინა არჩევნების დროს მასწავლებელთ ქრისტიანეთა სოციალისტების მხარი დაიჭირეს და ამ უკანასკნელთ გამარჯვება მოაპოვებინეს. ეს დასი მაშინ ბევრ რასმეს ჰპირდებოდა ამომრჩევლებს, განსაკუთრებით მასწავლებლებს. მაგრამ გავიდა დრო და დასმა არამც თუ დაპირები არ აასრულა, არამედ ვიწრო პარტიულის ინტერესებით გატაცებულებმა, თითქმის დესპოტიზმი გაამეფა. სწავლა-განათლებისათვის სულ არარა ზრუნავდა, ჰუმანიურ დაწესებულებათ სუფსიდიები მოუსპო, ყველა ადგილებში თავის კაცები ჩააყენა. რასაკვირველია, ასეთი მოქმედება ქალაქის საქმეების მმართველ დასისა დიდს უკმაყოფილებას გამოიწვევდა მცხოვრებთა შორის. ამ უკმაყოფილებამ იქამდე მიაღწია, რომ მომავალ არჩევნებზედ ქრისტიანეთა სოციალისტების დამარცხება ყველასათვის აშკარა შეიქმნა. აი სწორედ ამ დამარცხების ასაცილებლად დასმა ისეთსავე ხერხს მიჰმართა როგორსაც ბელგიელმა კლერიკალებმა მიჰმართეს ე. ი. შეიმუშავა ახალი საარჩევნო კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ქრისტიანეთა სოციალისტების გამარჯვება აუცილებელი ხდება. კანონ-პროექტით, ისინი, ვინც პირდაპირ პირადს გადასახადს იღებენ, პირველ სამ ხარისხში ჰკარგავენ არჩევნების უფლებას. ამ გადასახადის გამღებნი უმთავრესად ინტელიგენტნი არიან, როგორც, მაგალითად, ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელნი და უფრო განათლებული მუშები. ამ უკანასკნელებისა ქრისტიანეთა სოციალისტებს ისე ეშინიათ, როგორც ცეცხლისა. მასწავლებელნი, რომელნიც დღეს მეორე ხარისხის ამომრჩევლებს ეკუთვნიან, კანონ-პროექტით მესამე ხარისხში გადადიან, სადაც ამომრჩევლების უმრავლესობას წვრილი მედუქნეები, ხელოსნები, მეეტლეები და ყასბები შეადგენენ, ე. ი. ისინი, ვინც უმთავრესი მომხრენი არიან ქრისტიანეთა სოციალისტებისა. კანონ-პროექტით ამომრჩეველნი ოთხ ხარისხად არიან დაყოფილი. ქრისტიანეთა სოციალისტების მოწინააღმდეგენი ისე ოსტატურად არიან დანაწილებული ამ ხარისხებში, რომ თითქმის ყველგან უმრავლესობას მომხრეები შეადგენენ. განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებს მოექცნენ სასტიკად; იგინი პროექტით, თუ, რასაკვირველია, განხორციელდა იგი, ორის სამის წარმომადგენლის არჩევასაც მლივს შეიძლებენ.

კანონ-პროექტი შეიწყნარა ქალაქის ავსტრიის საბჭომ, რომლის წევრთა უმრავლესობას ანტისემიტები შეადგენენ. მიუხედავად ამისა პროექტმა საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია ვენის ყველა მცხოვრებლებისა. ჟურნალ-გაზეთებმა, მათ შორის ოფიციოზურმაც, ერთხმად გაჰკიცხეს იგი. სოციალ-დემოკრატებმა მრავალი მიტინგი გამართეს, რომელზედაც ორატორებმა განაცხადეს, ვთხოვოთ მეფეს არ დაამტკიცოს ეს კანონ-პროექტიო. ასეთივე მიტინგები გამართეს ლიბერალებმა და პროგრესისტებმა. სხვა-და სხვა კორპორაციებმა და საზოგადოებებმა პეტიციები გაუგზავნეს სამინისტროს, რომელშიაც სთხოვენ ნუ დაამტკიცებთ პროექტსაო. სული და ხორცი ამ კანონ პროექტისა ქალაქის მოურავი ლიუგერი ისე იქცევა, რომ ცეცხლზედ წყალს ასხამს: მუშებს ბავშვებს ეძახის და ამით საჯაროდ შეურაცხყოფას აყენებს მათ. მუშებმა ამის გამო რინგზე დიდი დემონსტრაცია მოახდინეს. „ძირს ჩვენგან ლიუგერიო“! გაიძახოდნენ მრავალნი. პოლიციამ დააპატიმრა 45 მუშა, აგრეთვე სოციალ-დემოკრატთა წინამძღოლი ადლერი დასხვანი. დღემდის ლიუგერს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი და ბევრი მომხრე ჰყავდა, დღეს კი უჯეროთ და უზრდელობით ქცევაში

გავლა ვერ გაუბედნია. ისე დღე არ გაივლის, რომ მუშებმა მანიფესტაცია ან მიტინგი არ მოახდინონ. განსაკუთრებით წარსულ კვირას მოუხდენიათ დიდი მანიფესტაცია. ამ დღეს უოთავერსის ქუჩაზედ შეკრებილა 20,000 მეტი ქალი და კაცი. გრაფ ტუნს ვიღაცობა მიუცია მრავალ მთხოვნელისათვის, დაწვრილებით განიხილავ კანონპროექტს და თუ სამართლიანობას მოკლებულია იგი, ვეცდები არ იქმნას განხორციელებულიო.

—

**ესპანია.** როგორც ესპანიიდგან იუწყებიან, ბარცელონაში არეულობანი, ახალის გარდასახადების შემოღებით გამოწვეული, ჯერაც არ მოსპობილა. თუმცა მთავრობას უკვე გარდაუწყვეტია დაუთმოს საზოგადოების სურვილს და ხელი აიღოს ზოგიერთ განზრახულ გადასახადებზედ, მაგრამ ხალხი არ უჯერებს მთავრობის სიტყვას და არეულობებს განაგრძობს. თვით მთავრობას ჯერ არ გარდაუწყვეტია სად და რას უნდა დაუკლოს ხარჯი, რომ გარდასახადი შემცირდეს. ამის გამო დიდი გაბრძოლებაა ფინანსთა და სამხედრო მინისტრებს შორის. პირველის აზრით სამხედრო სამინისტროს ხარჯი უნდა შემცირდეს, მეორე კი დიდი წინააღმდეგია ამისა. არ იციან ჯერ, რომელი გაიმარჯვებს. ხალხს უფრო ფინანსთა მინისტრის მხარე უჭირავს. „ჯარი აღარა გვყავს და ხარჯი-კი დიდია“, —გაიძახიან ყოველის მხრით.

—

**სერბია.** როგორც ვუწყით, სერბიაში ამას წინად მეფის ალექსანდრეს მამის მილანის მოკვლა განიზრახეს. სერბიის აწინდელმა მთავრობამ და იმის სულის ჩამდგმელმა მილანმა ეს განზრახვა საუკეთესოდ გამოიყენეს. მათ ისეთი დევნა დაუწყეს ყველა თავისს მოწინააღმდეგეთ, რომ მალე მთელს სერბიაში აღარც ერთი მოწინააღმდეგე აღარ ეყოლებათ. ყოველ დღე აპატიმრებენ კითომდა დამნაშავეებს. ისე დღე არ გავა, რომ რამდენსამე რადიკალს საპატიმროში არ ამოაყოფინონ თავი. ეს ამბავი საშინლად აღელვებს ყველას არა მარტო სერბიაში, არამედ საზღვარგარეთაც კი.

---

## დამაკვირდი

—

დაიჩვიე თავი შენი ყოველსა ზედა კეთილის მოქმედებასა, რათა ბოლოდ მდიდარ და პატიოსან იქმნე.

საეკლ. მუზ. № 153

* * *

მინდა ვიყო სირი ბეჯარისა და მამულის განდიდებას ვეჭირინავდე მარადის.

ლასურიძე

* * *

რომელსა უყვარდე, გამხილოს, გასწავლოს და ყოვლისა ბოროტის მოქმედებისაგან განგაყენოს და წინააღმდეგომ გექმნას ყოვლისა ბოროტისა საქმისათვის, ხოლო რომელსა სძულდე, გიდიდოს და გეთნიოს.

ფილოსოფ. პლატონ *)

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთი ინგლისური გაზეთი ამბობს, რომ როგორც ინგლისის მატიანედგან სჩანს, 1690 წელს ერთს რაზმში ვიღაც ჯენნის ორი თანამდებობა ეჭირა—მღვდლისა და როტის უფროსისა და ორსავე თანამდებობისათვის ჯამაგირს იღებდაო. ჯენნი გულმოდგინე და მუყაითი კაცი ყოფილა და ორსავე თანამდებობას სინიდისიერად ასრულებდა თურმე. მხოლოდ ბოლოს დროს, როდესაც მოხუცებულა, ერთი თანამდებობა, სახელდობრ მღვდლობა, ჩამოურთმევიათ და მხოლოდ აფიცრად-ღა დაუტოვებიათ.

* * *

ამას წინად დეპეშამ ამბავი მოიტანა, რომ ესპანიის სატახტო ქალაქ მადრიდსა და იმის ახლო-მახლო მდებარე სოფლებსა და ქალაქებს სეტყვამ მეტად დიდი ზარალი მიაყენაო. ეხლა გაზეთებმა დაწვრილებით ამბები მოიტანეს ამ სეტყვისა და ქარიშხალის შესახებ. სეტყვას მართლაც დიდი ზარალი მიუყენებია და საშინელი არეულობა მოუხდენია როგორც მადრიდსა, ისე სხვა ქალაქებსა და სოფლებში. თითო სეტყვა ნახევარ გირვანქას იწონიდა თურმე. ქალაქში არც ერთი ფანჯარა არ გადარჩენილა მთელი. ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები სულ დაუწყვეტია. კაცები და ცხოველები დაჭრილ-დაკოდილები ეცემოდნენ ქუჩებში, ვინც ქუჩებში ვაჭრობდა, გარდა იმისა, რომ თვით დაშავდა, საქონელი და ნივთები სულ ერთიან დაეღუპა. ფოსტა ზევიდგან შუშა-ბანდით ყოფილა გადახურული; სეტყვას ეს შუშაბანდი ჩაუმტვრევია და შიგ ჩასულა; გაუფუჭებია, რაც იქ წერილები, გაზეთები და ფულიანი პაკეტები ყოფილა. მოხელენი შიშისაგან მაშინვე მიმალულან. განსაკუთრებით დიდ განსაცდელში ჩავარდნილან ისინი, ვისაც სეტყვამ ქუჩაში ან ქალაქს გარედ მოატანა, გადაღებისას ქუჩებსა და მოედნებზედ თითქმის ერთი ადლი სეტყვა იდო თურმე. ყველა ფარნები დაულეწნია. სეტყვა რომ მოდიოდა, კაცს ეგონებოდა, ომი არის და ზარბაზნების ხმა ისმისო. თვით პარლამენტშიაც არეულობა მომხდარა. პარლამენტის შენობაც ზევიდგან სქელის შუშით არის თურმე გადახურული. ეს შუშა ჩაუმტვრევია და რაკა-რუკი აუყენებია დეპუტატების მელოტ თავებზედ. პატივცემულნი წარმომადგენელნი სახელმწიფოსი ზარ-დაცემულნი გაფანტულან აქეთ-იქით. პრეზიდენტი ისე გადარეულა, რომ თან მირბოდა და თან ზარს აწკარუნებდა, თითქოს ამ ზარის რეკისა შეეშინდება სეტყვას და შეჩერდებაო. ასეთივე სცენები სენატშიაც მომხდარა. მარტო სენატში სეტყვას 10,000 პეზეტის შუშები ჩაუმტვრევია. მადრიდში ამ ჟამად ბაღი აღარ არის. ხეებს ტოტები და ფოთლები ჩამოცლილი აქვთ, ასე რომ ბოძები გეგონებათ. ზოოლოგიური ბაღი და მეფის მშვენიერი ბაღები სულ ერთიან გაუნადგურებია. ბევრი სახლი დანგრეულ-დაქცეულა. მატარებლები ყველგან შეუჩერებიათ. დაჭრილი ასობით არის. მოკლულიც ძალიან ბევრია თურმე. მახლობელ სოფლებსა და ქალაქებშიაც სეტყვას ზარალი დიდი მიუყენებია თურმე. 150 სახლზედ მეტი დაუქცევია. სეტყვის გადაღებისას სახლის ნანგრევებიდგან 10 მოკლულის კაცის გვამი ამოუღიათ. ზარალი, ამ სეტყვისაგან მიყენებული, რამდენსამე მილიონ მანეთს აღემატება თურმე. რაღა ეს უბედურება უნდოდა უიმისოდაც გაკოტრებულ და განადგურებულ ესპანიას!

* * *

ვაჭრობა-მრეწველობის წყალობით თუ რა სწრაფად იზრდებიან დღეს ქალაქები, ამის მაგალითს გონკ-კონგი (ჩინეთშია) წარმოგვიდგენს. ინგლისელები ამ ქალაქში 1840 წელს დამკვიდრდნენ და ამ დღიდგან იწყობა კიდეც ქალაქის ზრდა და წარმატება. 1840 წელს ქალაქის მცხოვრებს თითქმის სულ მეთევზეები შეადგენდნენ. მათი რიცხვი 7,000 არ აღემატებოდა. 1897 წელს-კი, ე. ი. 57 წლის შემდეგ, ამ ქალაქში 216,000 მცხოვრებელი იყო. ვაჭრობა კონგ-კონგისა მეტად დიდია. 1898 წელს გონგკ-კონგის ნავთ-სადგურში 33,963 ევროპიული გემი და 23,989 ჩინური ჟონგი ან ხომალდი შევიდა საქონლის გასატანად ან შესატანად. აქედგან ინგლისელებს ეკუთვნოდა 3,392 გემი, ნემცებს—682 და ფრანგებს—123 გემი. აღებ-მიცემობა გონკ-კონგისა 610,720,278 ფრანკს უდრის.

*) საეკლ. მუზ. № 153.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივლისი.

**ნოვოროსიისკი.** მისი უდიდებულესობა დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ბათუმში წაბრძანდა გემით „გიორგი პობედონოსეცი“.

**პარიჟი.** საფრანგეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომ დონ-კარლოსის წარმომადგენელი—სერრალბო საფრანგეთიდგან გავიდეს.

**ნოვოროსიისკი.** მოვიდა ამალის მატარებელი, სამგლოვიარო მატარებელი აქ ელის ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამს.

**მოსკოვი.** მოსკოვის თავად აზნაურობამ დაადგინა გვირგვინით შეამკოს მემკვიდრე ცესარევიჩის კუბო და დეპუტაცია გაგზავნოს დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

**ნოვოროსიისკი.** „გიორგი პობედ.“-ი ჩერნოგორსკის ესკადრის სხვა გემებთან ერთად აქ მოვიდა. აქედგან ესკადრა მის უდიდებულესობას დედოფალს იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს ბათუმამდის მიაცილებს.

**ნოვოროსიისკი.** დღეს დილით მობრძანდა დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული. ნავთსადგურის ნაპირზედ ხალხი შეიკრიბა, სრული წესიერება სუფევდა. ყველგან სამგლოვიარო დროშებია ამართული. 9 საათზედ ნავთსადგურთან გამართულ ფარდულში შეიკრიბნენ ადგილობრივი მოხელენი, გუბერნატორის ტიხანოვის თაოსნობით, საზღვაო მთავრობა. იქვე იდგნენ შავის ზღვის ესკადრის ხომალდები. დილის 10 საათზედ საიმპერატორო მატარებელი გამოჩნდა, რომელსაც გზაზედ გზათა მინისტრი მიეგება. მატარებელს უფროსობდა საიმპერატორო მატარებელთა უფროსი და კამენდანტი თავადი თუმანოვი, მატარებლის გაჩერებისას ფარდულში გადმობრძანდნენ დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, დიდნი მთავარნი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული. მიიღო რა რაპორტი შავის ზღვის ფლოტის უფროსისაგან, მისი უდიდებულესობა დიდის მთავრებისა და მთავრინებითურთ ორთქლ-მავალ კატერზედ აბრძანდა. დილის 9 საათსა და 15 წუთზედ კატერი გემის „გიორგი პობედონოსცევისაკენ“ გაემართა. გემის ზღვაოსანნი „ურას“ ძახილით მიეგებნენ. დილის 11 საათზედ „გიორგი პობედ.“ ბათუმისაკენ გაუდგა გზას. ზღვაში მას შეუერთდნენ სხვა სამხედრო გემები, რომელნიც ბათუმამდე მიაცილებენ. ბათუმის ნავთსადგურში მხოლოდ „გიორგი პობ.“ შევა. როდესაც გემი მემკვიდრე ცესარევიჩის გვამითურთ უკან დაბრუნდება, ფლოტის ყველა სხვა გემები გამოაცილებენ.

8 ივლისი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: „ვბრძანებთ უსაყვარლესი ძმა ჩვენი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, რომელსაც, სახელმწიფო ძირითად კანონების ძალით, ეკუთვნის, ვიდრე უფალი ღმერთი არა გვაკურთხებს ვაჟიშვილის დაბადებით, უმახლობელესი უფლება ჩვენს შემდეგ ტახტის მემკვიდრეობისა,—იხსენიებოდეს ყოველს შემთხვევის დროს ხელმწიფე მემკვიდრედ და დიდ მთავრად“. ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: „ნიკოლოოზი“.

საერო განათლების მინისტრის საყოველთაო მიწერილობა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა მიმართ: „რადგანაც მეტად ავსებულია ზოგიერთი უნივერსიტეტები იმ მიზეზით, რომ ამ უნივერსიტეტებს ეტანებიან სხვა სამოსწავლო ოლქების გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულნი, სამერმისოდ ვურჩევთ ამა მიმდინარე წელს სწავლა დამთავრებულთა და მოწმობა მიღებულთ თავისის ოლქის უნივერსიტეტში შეეცადნენ შესვლა; ამასთანავე ვაფრთხილებთ, რომ შეიძლება სხვა ოლქების უნივერსიტეტებში ადგილი ვერ იპოვონ. იმათ კი, რომელთაც ისეთს ოლქებში დაუმთავრებიათ სწავლა, რომლებშიაც უნივერსიტეტები არ არის, ვურჩევთ წავიდნენ: ვილნოს ოლქში სწავლა დამთავრებულნი — იურიევისა, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში; კავკასიის ოლქისანი — ხარკოვისა, ნოვოროსსიისკისა (ოდესისა) და წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტებში; ციმბირის გიმნაზიებიდგან; თუ იურიდიულსა და სამკურნალო ფაკულტეტებზედ უნდათ შესვლა,—განსაკუთრებით ტომსკის უნივერსიტეტში, ხოლო თუ სხვა ფაკულტეტებზედ—ყაზანის უნივერსიტეტში.

**ბერხტესგადენი.** იმპერატრიცამ ბართოლომეს მთებზედ სეირნობის დროს ფეხი იღრძო. ეს უბედური შემთხვევა მოხდა გუშინ ტყის ბილიკზედ ეთსკაპელესა და ბართოლომეს შუა. ბილიკზედ სველი ფიცარი იდო, იმპერატრიცას ზედ ფეხი გაუსხლტა და წაიქცა. თუმცა საშინლად სტკიოდა ფეხი, მისმა უდიდებულესობამ განაგრძო სიარული, მაგრამ ბოლოს იძულებულ იქმნენ სკამზედ დაესვათ და ნივამდე ხელით მიეტანათ. შემდეგ მისი უდიდებულესობა ეტლით ბერხტესგადენში წაბრძანდა. ღამე მშვიდობიანად გაატარა. ფეხის შეხვევის შემდეგ ტკივილი დაუყუჩდა. ხანგრძლივ მშვიდობიანად ყოფნა დასჭირდება.

**ვენა.** აქ ჩამოვიდა ვარშავადგან დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

სახჩერის სამკითხველოს მოუვიდა ბ-ნ ქ. ი. ქავთარაძისაგან 83 ცალი სხვა-და-სხვა წიგნი, შეკრებილი მის მიერ სხვა-და-სხვა პირისაგან.

სახჩერის სამკითხველოს დამფუძნებელ წევრთა მხრივ მადლობას ვუძღვნი ბ-ნ ქ. ი. ქავთარაძეს და ქვემო მოყვანილ შემომწირველთ: ი. პ. როსტომაშვილს, რომელმაც შემოსწირა 21 ცალი სხვა-და-სხვა წიგნი, თავისი გამოცემანი, ნ. ურბნელს 2 ცალი, გ. ი. ქავთარაძეს 1 ცალი, ა. ი. მესხს 15 ცალი, ი. იმედაშვილს 6 ცალი, ქ. ი. ქავთარაძეს 16 ცალი, ს. ი. ლაშხს 3 ცალი, მ. შარაძეს 15 ცალი და ს. ი. კახეთელიძეს 4 ცალი.

სახჩერის სამკითხველოს მმართველი

ყ. ჩხეიძე

—

სინო ჭონიშვილის მაგიერად უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმ კეთილ კაცთ, რომელთაც არ დაიშურეს მისი ბედკრული ოჯახისათვის შემწეობის აღმოჩენა. აი მათი სია: თედო სახოკიამ შემოსწირა 1 მან., საჩინო თურქიამ 1 მ., ფ. ერქომაიშვილმა 1 მ., სტეფანე თურქიამ 1 მ., იოსებ ლოლუამ 1 მ., იოსებ გვალიამ 1 მ., საჩინო იოსელიანმა 1 მ. 50 კ., ალექსანდრე რატიანმა 50 კ., ხრისტო მავროპულომ 50 კ., ივანე მიქაძემ 40 კ., გრიგოლ გვაზავამ 20 კ., ერასტო საბაშვილმა 65 კ., კარპო წურომძემ 20 კ., სამსონ გაბუნიამ 15 კაპ.

კერძოდ მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ საჩინო თურქიას, რომელმაც დიდი გულ-მტკივნეულობა გამოიჩინა ამ კეთილ საქმეში (შეაგროვა ფული ქ. სოხუმში და გამოგზავნა).

მ. წინამძღვრიშვილი

---


## განცხადებანი

გამგეობა ამიერ-კავკასიის რკინის გზისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ, რადგანაც მატარებლები № 1 და 2 სავსეა ხოლმე შორეულ სადგურებზედ მიმავალ მგზავრებით, ამიტომ ამა წლის 15 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე ამ მატარებლებზედ მგზავრობა და აგრეთვე ბარგის გაგზავნა მახლობელ სადგურამდე, დაწყებული ავჭალის სადგურიდგან გორამდე, მოისპობა.

ყველა მგზავრები, რომელნიც ტფილისიდგან მახლობელ სადგურებში მიდიან გორამდე, უნდა წავიდნენ მატარებლებით №№ 7 და 8, რომელნიც იმ აზრით არის შემოღებული, რომ მატარებლები №№ 1 და 2 მეტად არ გაივსოს ხოლმე ხალხით.

(7—1)

НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ

ფასი 20 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 8 го Іюля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.